საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ზაფი)

# სიმწიფის მოდელის თვითშეფასება

| | წარმატების ძირითადი სფერო | არსებული მდგომარეობის შეფასება - მნიშვნელოვანი კომენტარები | სიმწიფის ახლანდელი დონე (1-დან 5-ის ჩათვლთ) | სიმწიფის სასურველი დონე (1-დან 5-ის ჩათვლით) | შემოთავაზებული ღონისძიებები | ვადები ან გრაფიკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტაბილურობა | სამართლებრივი და საბაზრო აღიარება | | | (გამოიყენეთ „თანდართული ცხრილები“) | (აღწერეთ ის შესაძლო/სავარა-უდო და დაგეგმილი ღონის-ძიებები, რომლებიც დაგეხმარებათ სიმწიფის სასურველი დონის მიღწევაში) | (თითოეული ღონისძიების თვის) |
| | საჯარო და კერძო სექტორების მიერ აღიარება | ორგანიზაცია და მისი წევრი პროფესიონალი ბუღალტრები აღიარებულნი არიან ანალოგიური ორგანიზაციებისა და ბაზრის დაინტერესებული მხარეების მიერ | 4 | | | |
| | აღიარება მთავრობის ან მარეგულირებელი ორგანოების მიერ | მოპოვებული აქვს სამართლებრივი აღიარება კანონმდებლობით. კანონმდებლობა იცავს და მხარს უჭერს პროფესიონალ ბუღალტრებს ფართო სპექტრის მომსახურების გაწევის საკითხში | 5 | | | |
| | გარე ზედამხედველობა | ზედამხედველობა ხორციელდება პროფესიული სერტიფიცირებისა და განგრძობთი სწავლების პროგრამებზე, საგამოცდო პროცესზე წევრების მიერ ქცევის კოდექსის დაცვაზე. | 4 | | | |
| | თვითმიმოხილვა | მმართველობის სტრუქტურა და ორგანიზაციის წესდება ორიენტი- | | | | |

| | წარმატების ძირითადი სფერო | არსებული მდგომარეობის შეფასება - მნიშნელოვანი კომენტარები | სიმწიფის ახლანდელი დონე (1-დან 5-ის ჩათვლთ) | სიმწიფის სასურველი დონე (1-დან 5-ის ჩათვლით) | შემოთავაზებული ღონისძიებები | ვადები ან გრაფიკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | **მმართველობა** | რებულია საბაზრო საჭიროებების დაკმაყოფილებაზე | 3 | | | |
| | წესდება | აქვს მართვის ქმედითი და სრული დოკუმენტაცია, როგორიცაა:<br>შრომის შიდაგანაწესი;<br>მენეჯერული როცედურები;<br>თანამშრომელთა ფუნქციები და სხვ;<br><br>განცალკევებულია მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისა და ხელმძღვანელობის როლები და ანგარიშვალდებულება;<br><br>არსებობს საქმიანობის შედეგების ეფექტური მიმოხილვის, მონიტორინგისა და გაუმჯობესების პროცედურები;<br><br>გამგეობისა და კომიტეტების მუშაობაში ჩართულნი არიან დამოუკიდებელი წევრები;<br><br>არსებობს გამგეობისა და კომიტეტების საქმიანობის | 4 | | | |

| | წარმატების ძირითადი სფერო | არსებული მდგომარეობის შეფასება - მნიშნელოვანი კომენტარები | სიმწიფის ახლანდელი დონე (1-დან 5-ის ჩათვლთ) | სიმწიფის სასურველი დონე (1-დან 5-ის ჩათვლით) | შემოთავაზებული ღონისძიებები | ვადები ან გრაფიკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | შედეგების მიმოხილვის პროცედუ-რები;<br>წარადგენს ფინანსური და არაფინანსური შედეგების დეტალურ ანგარიშგებას. | | | | |
| | დაფინანსება და ბიზნესმოდელი | აქვს ორგანიზაციის გრძელვადიანი განვითარების მკაფიოდ ჩამოყალიბებული ხედვა;<br>აქვს სამოქმედო გეგმა, უზრუნველყოფილი მართვის ეფექტური სისტემებითა და კონ-ტროლის მექანიზმებით;<br>ფინანსურად სტაბილურია და აქვს:<br>1. კაპიტალური დანახარჯების გეგმა<br>2. საქმიანობის შედეგების მაჩვენებლებთან დაკავშირე-ბული ბიუჯეტი<br>3. მმართველობითი აღრიცხვა, რომელიც ექვემდებარება დეტალურ და რეგულარულ განხილვას. | 4 | | | |
| | ინფრასტრუქტურა და მართვა | უზრუნველყოფილია გამოცდილი/კვალიფიციური | 4 | | | |

| | წარმატების ძირითადი სფერო | არსებული მდგომარეობის შეფასება<br>- მნიშვნელოვანი კომენტარები | სიმწიფის ახლანდელი დონე (1-დან 5-ის ჩათვლთ) | სიმწიფის სასურველი დონე (1-დან 5-ის ჩათვლით) | შემოთავაზებული ღონისძიებები | ვადები ან გრაფიკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | მენეჯერებით/ხელმძღვანელი კადრებით; ხელმძღვანელობას აქვს დიდი გამოცდილება, მათ შორის ბუღალტერთა პროფესიისა და წევრებთან ურთიერთობის სფეროში;<br><br>ჰყავს ოფიციალური უფლებამოსილებით აღჭურვილი, დანიშნული აღმასრულებელი დირექტორი;<br><br>აქვს ადამიანური რესურსების მართვის საიმედო სისტემა, როგორიცაა:<br>შრომის ანაზღაურების,<br>ჯანდაცვისა და უსაფრთხოების,<br>შიდა კომუნიკაციის დადგენილი სტრუქტურა;<br>წევრებთან ურთიერთობებისა და მართვის დახვეწილი სისტემები. | | | | |
| რელევანტურობა | წევრობა/წევრის სტატუსი | აქვს წევრობის დიფერეცირებული კატეგორიები და რეესტრი.<br><br>გაწევრიანების კრიტერიუმები მოიცავს განათლებას, გამოცდას და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებას<br>საწევრო გადასახადი; | 4 | | | |

| | წარმატების ძირითადი სფერო | არსებული მდგომარეობის შეფასება - მნიშნელოვანი კომენტარები | სიმწიფის ახლანდელი დონე (1-დან 5-ის ჩათვლთ) | სიმწიფის სასურველი დონე (1-დან 5-ის ჩათვლით) | შემოთავაზებული ღონისძიებები | ვადები ან გრაფიკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | დასაშვებია ბუღალტერთა სხვა პროფესიული ორგანიზაციების წევრების გაწევრიანება, დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე;<br><br>ხორციელდება მონიტორინგი წევრების განგრძობით პროფესიულ განათლებაზე და წევრებს მოეთხოვებათ დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა ყოველწლიურად. | | | | |
| | წევრთა ჩართულობა | წესდებით გაწერილია კარგად გააზრებული და მკაფიოდ ფორმულირებული მართვის პოლიტიკა;<br><br>წევრები არიან ჩართულნი პროფესიული ორგანიზაციის სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრაში;<br><br>ორგანიზაციის წევრები რეგულარულად გადიან კონსულტაციებს ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რაც გავლენას ახდენს მათ პროფესიულ ორგანიზაციასა და, ზოგადად, პროფესიაზე; | 4 | | | |
| | სტანდარტები* | ქვეყანაში არსებობს უწყვეტი პროცესები/პროცედურები | | | | |

| | წარმატების ძირითადი სფერო | არსებული მდგომარეობის შეფასება - მნიშნელოვანი კომენტარები | სიმწიფის ახლანდელი დონე (1-დან 5-ის ჩათვლთ) | სიმწიფის სასურველი დონე (1-დან 5-ის ჩათვლით) | შემოთავაზებული ღონისძიებები | ვადები ან გრაფიკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | საერთაშორისო სტანდარტების სამოქმედოდ შემოღებისა და დანერგვის ხელშესაწყობად;<br><br>ბაფი მჭიდროდ თანამშრომლობს მარეგულირებელ ორგანოებთან სტანდარტების შემუშავებისა და დანერგვის მიზნით;<br><br>ჩართულია სტანდარტების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტასა და დანე-რგვასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში;<br><br>ორგანიზაციას აქვს სტანდარტების გამოყენებასთან დაკავშირებით ადგილობრივი პრაქტიკოსების გადამზადებისათვის საჭირო პროგრამები;<br><br>ასრულებს წევრობის ვალდებულების პრინციპების 3, 5, და 7 ნაწილების მოთხოვნებს;<br><br>წევრებისათვის განსაზღვრავს შესაბამის საგანმანათლებლო მოთხოვნებსა და კვალიფიკაციებს; წევრებს მოეთხოვებათ ეთიკური ქცევისა და პროფესიული განსჯის მაღალი სტანდარტების გამოყენება. | 4 | | | |

| | წარმატების ძირითადი სფერო | არსებული მდგომარეობის შეფასება - მნიშნელოვანი კომენტარები | სიმწიფის ახლანდელი დონე (1-დან 5-ის ჩათვლთ) | სიმწიფის სასურველი დონე (1-დან 5-ის ჩათვლით) | შემოთავაზებული ღონისძიებები | ვადები ან გრაფიკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | საზოგადოებრივი ინტერესები | ორგანიზაციის მიერ გატარებულ პოლიტიკაში, მის ქმედებებსა და გადაწყვეტილებებში გათვალსიწინე-ბულია საზოგადოებრივი ინტერესები;<br><br>აწარმოებს კონსტრუქციულ დიალოგს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მარეგუ-ლირებელ ორგანოებთან, უნივერსიტეტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რომლებიც მოღვაწეობენ ფინანსურ სექტორში;<br><br>წევრებისათვის განსაზღვრავს შესაბამის საგანმანათლებლო მოთხოვნებსა და კვალიფიკაციებს;<br><br>სათანადო ზომები ტარდება წევრების ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესებს. | 4 | | | |
| პროფესიონა ლიზმი | ეთიკა* | წევრები დაინტერესებულნი არიან, რომ დაიცვან არსებული მოთხოვნები;<br><br>არსებობს ეთიკური მოთხოვნების დანერგვის გეგმა, რომელიც შესა-ბამისობაშია მოკვლევისა და | 4 | | | |

| | წარმატების ძირითადი სფერო | არსებული მდგომარეობის შეფასება<br>- მნიშვნელოვანი კომენტარები | სიმწიფის ახლანდელი დონე (1-დან 5-ის ჩათვლთ) | სიმწიფის სასურველი დონე (1-დან 5-ის ჩათვლით) | შემოთავაზებული ღონისძიებები | ვადები ან გრაფიკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | დისციპლინის ნორმებთან;<br><br>სატრენინგო პროგრამები სრულადაა ინტეგრირებული განგრძობითი პროფესიული განათლების პროგრამებში;<br><br>ასრულებს წევრობის ვალდებულებების პრინციპების მე-4 ნაწილის მოთხოვნებს;<br><br>მუდმივად მუშაობს იმაზე, როგორ გააუმჯობესოს წევრობის ვალდებულებების პრინციპების მე-4 ნაწილის მოთხოვნების შესრულების ხარისხი. | | | | |
| | ხარისხის უზრუნველყოფა* | წევრები იღებენ სახელმძღვანელო მითითებებს;<br><br>აქვს საკონსულტაციო მომსახურება;<br><br>შექმნილია ხარისხის უზრუნ-ველყოფის კომიტეტი, დაბალა-ნსებული და დამოუკიდებელი შემადგენლობით;<br><br>განსაზღვრულია საზედამხედველო ორგანოებთან თანამშრომლობის მექანიზმები; | | | | |

| | წარმატების ძირითადი სფერო | არსებული მდგომარეობის შეფასება - მნიშნელოვანი კომენტარები | სიმწიფის ახლანდელი დონე (1-დან 5-ის ჩათვლთ) | სიმწიფის სასურველი დონე (1-დან 5-ის ჩათვლით) | შემოთავაზებული ღონისძიებები | ვადები ან გრაფიკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | შედეგები აისახება განგრძობითი პროფესიული განათლების პროგრამებში;<br><br>სტანდარტთან შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში ტარდება დისციპლინური ზომები. | | | | |
| | მოკვლევა და დისციპლინა* | საზოგადოება და ორგანიზაციის წევრები ინფორმირებულები არიან საჩივრების განხილვისთვის დადგენილი პროცესის შესახებ;<br><br>მკაფიოდ არის გამიჯნული საკითხის მოკვლევის, დისციპლინური ზომების გატარებისა და გასაჩივრებასთან დაკავშირებული ფუნქციები;<br><br>არსებობს კანდიდადტების წარდგენის ოფიციალური პროცესი დისციპლინურ სასამართლოზე წარმომადგენლების დასანიშნად, გასაჩივრების პროცესი, შედეგების შესახებ ანგარიშის გასაჯაროება;<br><br>ნაწილობრივ ასრულებს წევრობის ვალდებულებების პრინციპების მე-6 ნაწილის მოთხოვნებს. | 3 | | | |

| | წარმატების ძირითადი სფერო | არსებული მდგომარეობის შეფასება<br>- მნიშნელოვანი კომენტარები | სიმწიფის ახლანდელი დონე (1-დან 5-ის ჩათვლთ) | სიმწიფის სასურველი დონე (1-დან 5-ის ჩათვლით) | შემოთავაზებული ღონისძიებები | ვადები ან გრაფიკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |
| | პროფესიული კვალიფიკაცია (PQ)* | პროფესიული კვალიფიკაციის მიღება დაკავშირებულია კომპეტენციებზე დაფუძნებულ სერტიფიცირების მოდელთან;<br><br>კომპეტენციების შეფასება ხდება გამოცდისა და პრაქტიკული გამოცდილების ერთობლიობის შეფასებით;<br><br>არსებობს გამჭვირვალე, ჯანსაღი, უსაფრთხო და სანდო შეფასების სისტემა, რომელზეც გარედან ხორციელდება კონტროლი და მონიტორინგი, სარგებლობს დაინტერესებული მხარეების დიდი ნდობით, კვალიფიკაციის მიმნიჭებელი სხვა ორგანიზა-ციებისთვის წარმოადგენს მისაბაძ მოდელს;<br><br>ორგანიზაცია მუდმივად მუშაობს იმაზე, როგორ გააუმჯობესოს წევრობის ვალდებულებების პრინციპების მე-2 ნაწილის მოთხოვნების შესრულების ხარისხი. | 5 | | | |
| წევრ ის | განგრძობითი პროფესიული | დადგენილია განგრძობითი პროფესიული განათლების (CPD) პოლიტიკა; | | | | |

| | წარმატების ძირითადი სფერო | არსებული მდგომარეობის შეფასება - მნიშნელოვანი კომენტარები | სიმწიფის ახლანდელი დონე (1-დან 5-ის ჩათვლთ) | სიმწიფის სასურველი დონე (1-დან 5-ის ჩათვლით) | შემოთავაზებული ღონისძიებები | ვადები ან გრაფიკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | განათლება* | განგრძობითი პროფესიული განათლების პოლიტიკაზე ხორციელდება მონიტორინგი და გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირება ხდება დისციპლინარუ-ლი ზომების მეშვეობით;<br><br>ყოველწლიურად შემუშავდება დინამიური პროგრამა: სასწავლო თემები რეგულარულად ფასდება და კლასიფიცირდება პრიორიტეტების მიხედვით;<br><br>სწავლის შედეგები ფასდება და მოწმდება სწავლებაში მონაწილე პირთა გამოკითხვის საფუძველზე;<br><br>მუდმივად მუშაობს იმაზე, როგორ გააუმჯობესოს წევრობის ვალდე-ბულებების პრინციპების მე-2 ნაწილის მოთხოვნების შესრულების ხარისხი. | 5 | | | |
| | წევრებისთვის გაწეული მომსახურება | ბაფში წევრებისთვის მომსახურების გასაწევად გამოყოფილია პერსონალი;<br><br>არსებობს წევრებისთვის მომსახურების გაწევაზე | | | | |

| | წარმატების ძირითადი სფერო | არსებული მდგომარეობის შეფასება - მნიშნელოვანი კომენტარები | სიმწიფის ახლანდელი დონე (1-დან 5-ის ჩათვლთ) | სიმწიფის სასურველი დონე (1-დან 5-ის ჩათვლით) | შემოთავაზებული ღონისძიებები | ვადები ან გრაფიკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | ორიენტირებული კულტურა, რომელშიც მუდმივად იდება ინვესტიცია და მუდმივად ხდება მისი გაუმჯობესება;<br><br>ფუნქციონირებს ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მრავლმხრივი საკონტაქტო არხები: ელფოსტა, ვებგვერდი, ყოველთვიური სამეცნიერო - პრაქტიკული ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა ანგარიშგება“, გამოიცემა საინფორმაციო ბიულეტენები; | 4 | | | |
| | საერთაშორისო ურთიერთობები | ორგანიზაცია ეყრდნობა კონკრეტულ პირებს, რომლებიც მუშაობენ მიზნობრივად;<br><br>გაწევრიანებულია ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციაში. აქვს პარტნიორული ურთიერთობები ბუღალტერთა სხვა პროფესიულ ორგანიზაციებთან;<br><br>აღიარებულია ბევრი საერთაშორისო „ინსტიტუციონალური“ ორგანიზაციის მიერ. | 4 | | | |
| | ადვოკატირება და | დამყარებული აქვს კავშირები მნიშვნელოვანი გავლენის მქონე და | | | | |

| | წარმატების ძირითადი სფერო | არსებული მდგომარეობის შეფასება - მნიშნელოვანი კომენტარები | სიმწიფის ახლანდელი დონე (1-დან 5-ის ჩათვლთ) | სიმწიფის სასურველი დონე (1-დან 5-ის ჩათვლით) | შემოთავაზებული ღონისძიებები | ვადები ან გრაფიკი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | გავლენა | შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის უნივერსიტეტებთან;<br><br>მოსაზრებას იშვიათად აფიქსირებს, მხოლოდ კონკრეტულ თემებთან დაკავშირებით;<br><br>ორგანიზაციის მოსაზრება ღირებულია მნიშვნელოვანი გავლენის მქონე მხარეებისათვის;<br><br>პატივისცემით სარგებლობს საქმიან წრეებში. | 3 | | | |

*ამ ფორმაში მოყვანილი წარმატების ძირითადი სფეროები (KSAs) უკავშირდება IFAC-ის მიერ გამოცემულ „წევრობის ვალდებულების პრინციპებს“(SMOs)